

შპს ეი-ბი ემ

**ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2020
წლის 31 დეკემბერს**

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	1
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -----	4
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	5-17

შპს ეი-ბი ემ ის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს ეი-ბი ემ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
გრძელვადიანი ინვესტიციები		1,327,442	-
ძირითადი საშუალებები	3	1,373,201	886,373
არამატერიალური აქტივები	3	1,352	1,511
		2,701,996	887,883
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	1,550,195	10,441
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	8,439,623	1,776,009
მარაგები	6	3,848,235	2,167,576
გაცემული სესხები		414,098	-
მისაღები პროცენტები		11,929	705
		14,264,080	3,954,731
მთლიანი აქტივები		16,966,076	4,842,614
მთლიანი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		8,479,789	1,332
		8,479,789	1,332
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	7	2,915,403	1,245,960
		2,915,403	1,245,960
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		505,273	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	4,559,955	3,168,888
საგადასახადო ვალდებულებები		505,656	29,695
გადასახდელი პროცენტი	9	-	73,339
გადასახდელი დივიდენდი		-	323,400
		5,570,884	3,595,322
მთლიანი ვალდებულებები		8,486,287	4,841,282
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		16,966,076	4,842,614

დირექტორი




შპს ეი-ბი ემ ის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს ეი-ბი ემ

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის დასრულებული წლისათვის

(ლარში)	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019
ამონაგები	10	48,490,047	8,258,765
თვითღირებულება		(33,937,734)	(5,890,198)
საერთო მოგება		14,552,312	2,368,567
		-	
სხვა შემოსავლები	12	1,158,596	236,749
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	11	(4,545,987)	(1,473,241)
სხვა ხარჯები	13	(2,151,672)	(538,046)
საოპერაციო მოგება		9,013,249	594,029
ფინანსური შემოსავალი	14	12,150	1,094
ფინანსური ხარჯი	15	(424,266)	(398,189)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(412,116)	(397,095)
მოგება დაბეგვრამდე		8,601,133	196,934
მოგების გადასახადი		(80,235)	-
პერიოდის მოგება		8,520,898	196,934
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		8,520,898	196,934

დირექტორი




შპს ეი-ბი ემ ის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს ეი-ბი ემ		
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება		
(ლარი)	2020	2019
ფულადი სახსრების საწყისი ბალანსი	10440.293	81790.27
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
შემოსავლები	50585759.8	9737832.131
გასავლები	49010616.8	9790445.886
ფულის ნაზრდი(კლება) საოპერაციო საქმიანობიდან	1,575,143	(52,614)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
შემოსავლები	0	60648
გასავლები	1330233.4	79976.97
ფულის ნაზრდი(კლება) საინვესტიციო საქმიანობიდან	-1330233.4	-19328.97
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსავლები	11398742	3898822.62
გასავლები	10103897.3	3898229.873
ფულის ნაზრდი(კლება) საფინანსო საქმიანობიდან	1294844.73	592.747612
ფულადი სახსრების საბოლოო ბალანსი	1,550,195	10,440
დირექტორი		



შპს ეი-ბი ემ ის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს ეი-ბი ემ
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(ლარში)	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 1 იანვარი	(466,467)	(466,467)
2018 წლის 31 დეკემბერი	160,418	160,418
მოგება წლის ბოლოს	196,934	196,934
გაცემული დივიდენდი	356,019	356,019
2019 წლის 31 დეკემბერი	1,332	1,332
მოგება წლის ბოლოს	8,520,898	8,520,898
გაცემული დივიდენდი	42,441	42,441
2020 წლის 31 დეკემბერი	8,479,789	8,479,789

დირექტორი



ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ეი-ბი ემ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2011 წლის 07 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 404917328 . კომპანიის იურიდიული / ფაქტიური მისამართია : საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ჯიქიას ქ., №18, ბ. №16.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: სამედიცინო აპარატურის იმპორტი და რეალიზაცია; ლაბორატორიის სახარჯი მასალების იმპორტი და რეალიზაცია.

კომპანიის დამფუძნებლები (მესაკუთრეები) არიან ფიზიკური პირები: მარინა გიორგობიანი-33.3%, გალით მარისელ როსენფელდი (ისრაელი)-33.4%, ალონ ეშედი (ისრაელი)-33.3%.

კომპანიის დირექტორს წარმოადგენს ალექსანდრე ხეთერელი.

შესაბამისობის განცხადება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ეფუძნება 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2019 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8677	3,2095
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3,2766	4,0233

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას.

ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მსს ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებს:

ა) რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს;

და

ბ) 3 თვემდე მოთხოვნამდე და 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების საბანკო ანგარიშებს რეზიდენტი ბანკებში.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალსახად არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება არსებული ფინანსური აქტივების გაუფასურებისა. იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პერიოდში არსებითად გაიზრდება დებიტორული დავალიანების თანხა და ადგილი ექნება გაუფასურების გამომწვევ მიზეზებს, როგორიცაა: ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის შემცირება, ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები, თუ ცხადი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი, - საწარმო დაუყოვნებლივ შექმნის საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვებს (ანარიცხებს), და აღიარებს გაუფასურების ზარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრევირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	5-8

კომპიუტერული ტექნიკა	5-8
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10
სხვა ძირითადი საშუალებები	2-5

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო მომსახურის ვადის შესაბამისად.

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით- 20%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელია. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი

მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების

შპს ეი-ბი ემ ის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

2. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 3 ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები	ოფისის აღჭურვილობა	ავთომობილა და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2018	58,885	143,123	3,516	55,208	1,657	262,390
შემოსვლა	718,000	10,071	4,750	246,517	-	979,338
გასვლა	-	634	-	289,464	-	290,097
ცვეთა და გაუფასურება	19,246	59,181	1,680	(16,506)	146	63,747
31 დეკემბერი 2019	757,639	93,380	6,587	28,768	1,511	887,883
შემოსვლა	281,780	32,802	27,619	260,524	44,560	647,284
გასვლა	-	5,138	-	-	-	5,138
ცვეთა და გაუფასურება	44,992	68,916	6,805	34,603	159	155,476
31 დეკემბერი 2020	994,427	52,127	27,400	254,689	45,911	1,374,553

შენიშვნა 4 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2020	2019
ოფისის სალარო	44,540	0
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,301,771	10,335
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	7,953	106
საგარანტიო თანხა	195,931	-
სულ	1,550,195	10440.5

შპს ეი-ბი ემ ის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 5

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	7,802,119	1,441,746
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	603,263	197,204
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2,148	137,059
დაბეგრილი ავანსი	32,094	-
სულ	8,439,623	1,776,009

კომპანიამ აღიარა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი 2020 წელს-537990 ლარის ოდენობით ხოლო 2019 წელს 17640 ლარი.

შენიშვნა 6

მარაგები

	2020	2019
საქონელი	3,845,782	2,162,548
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	2,453	5,029
სულ	3,848,235	2,167,576

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 33908421 ლარი (2019 წელს 5890085 ლარი). მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალმა შეადგინა 29313 ლარი (2019 წელს 0 ლარი), იგი ჩართულია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების მუხლში.

შენიშვნა 7

სესხები

	2020	2019
მოკლევადიანი სესხები	5,273	-
გრძელვადიანი სესხები	2,915,403	1,245,960
სესხები პარტნიორებისგან	500,000	-
სულ	3,420,676	1,245,960

შენიშვნა 8

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2020	2019
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	2,846,720	2,770,557
მიღებული ავანსები	1,713,235	398,331
სულ	4,559,955	3,168,888

შპს ეი-ბი ემ ის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 9

გადასახდელი პროცენტი

	2020	2019
გადასახდელი პროცენტები	-	73,339
სულ	-	73,339

შენიშვნა 10

ამონაგები

	2020	2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	48,644,831	8,261,050
გაყიდული საქონელი დაბრუნება და ფასდათმობა	-154,785	-2,285
სულ	48,490,047	8,258,765

შენიშვნა 11

ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი

	2020	2019
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	9,860	0
ცვტა და ამორტიზაცია	155,476	119,224
სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება	127,403	70,947
რეკლამის ხარჯები	165	246
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	6,024	4,731
მიწოდების სხვა ხარჯები	50	112
შრომის ანაზღაურება	3,578,705	966,857
სოციალური დანარიცხები	25,944	15,123
საიჯარო ქირა	69,560	26,172
კომუნიკაციის ხარჯები	8,554	8,463
კომუნალური ხარჯები	2,163	1,756
დაზღვევა	15,992	14,028
სამივლინებო ხარჯები	10,286	27,136
რემონტი	10,310	6,714
კომპიუტერის ხარჯები	3,006	909
საკონსულტაციო ხარჯები	22,659	38,166
სხვა საგადასახადო ხარჯი	109,832	4,625
უსაბუთო	169	2,247
საბანკო მომსახურება	316,807	40,511
სხვა საერთო ხარჯი	57,849	39,120
წარმომადგენლობითი ხარჯი	11,177	20,148
სამივლინებო ხარჯი	3,995	66,006
სულ	4,545,987	1,473,241

შპს ეი-ბი ემ ის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 12

სხვა შემოსულობა

	2020	2019
არასაოპერაციო მოგება	1,023,172	124,530
კონვერტაციის შემოსავალი	75,509	522
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	42,427	108,491
განსაკუთრებული შემოსავლები	17,487	3,206
სულ	1,158,596	236,749

შენიშვნა 13

სხვა ხარჯები

	2020	2019
არასაოპერაციო ზარალი	1,368,279	144,104
გაუფასურების ხარჯი	537,990	17,640
კონვერტაციის ხარჯი	168,887	26,603
დამრგვალების ხარჯი	-	12
ჯარიმები	70,038	4,784
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	6,479	344,904
სულ	2,151,672	538,046

შენიშვნა 14

ფინანსური შემოსავალი

	2020	2019
საპროცენტო შემოსავლები	12,150	1,094
სულ	12,150	1,094

შენიშვნა 15

ფინანსური ხარჯი

	2020	2019
საპროცენტო ხარჯები	424,266	398,189
სულ	424,266	398,189

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

შპს ეი-ბი ემ ის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2020 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2021 წლის 28 სექტემბრით;

დირექტორი:

